სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 მარტი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/32

„ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№27-05/01, 15.01.2026) ამონაწერისა და დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 26 0000269052, 05.03.2026) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/51 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში შეიცვალოს გაზაფხულის სემესტრის ვადები და საბოლოოდ **N1 დანართი** ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით **(N1 დანართი).**
2. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სასმახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **მამია ფაღავა**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 13 მარტის №06-01/32 დადგენილების
დანართი №1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის
2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი
(ცვლილება 13.03.2026 წ. N06-01/32 დადგენილებით)

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო/კურაცია/პრაქტიკული სამუშაოები) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1 შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2025 წლის 06 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 30 იანვარს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 22 სექტემბერს და დასრულდეს 10 ოქტომბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2025 წლის 29 დეკემბრიდან 2026 წლის 09 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2026 წლის 2 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2026 წლის 23 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.

ე) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცესი განხორციელდეს 2026 წლის 02 მარტიდან 21 მარტის ჩათვლით.

1.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2026 წლის 23 მარტს და დასრულდეს 2026 წლის 4 ივლისს;

ბ) გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2026 წლის 09 მარტს და დასრულდეს 21 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2026 წლის 6 ივლისს 25 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2026 წლის 27 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით;